იხსნება მედიკო-სანიტარული საკვები პუნქტები ყაზბეგში და დუშეთში.

ქუთაისის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწის განკარგულებაში გადადგა 60.000 მან. ლტოლვილთა საჭიროებისათვის; დუშეთის ერობის თვითმართველობის განკარგულებაში კი 30000 მანეთი.

მთავრობის რწმუნებული ლტოლვილთა დამხმარე საქმეში ნ. კ. ჩიკვაძე პირდაპირ მავთულით ელაპარაკა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ქუთაისში სულაქველიძეს, რომ გარემოებამ აიძულა თერგის ოლქის ქართველობას მიეტოვებინა თავიანთი საცხოვრებელი და გამოქცეულიყვნენ საქართველოში. ფიქრობენ ცნობებით თფილისში ელიან 15 000 ლტოლვილთ საქართველოს სამხედრო გზით. ლტოლვილთა პირველი წყება 1,500 კაცი უკვე ჩამოვიდა მცხეთაში.

ლტოლვილთა შორის არიან რაჭისა და შორაპნის მაზრების მცხოვრებნი. შინაგან საქმეთა მინისტრი გთხოვთ დაუყონებლივ მოაწყოთ დახმარების საქმე ქუთაისის გუბერნიაში, დაიხმაროთ საზოგადო ორგანიზაციები და ერობა. [illegible] გაიხსნას საკვები პუნქტები ყვირილაში, რიონსა და ქუთაისში“.

◆ **დამფუძნებელი კრების გარშემო.** გუშინ შეიქმნა საგანგებო თათბირი პარლამენტის პრეზიდიუმისა, მთავრობის და დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა

როგორც კი კარებს დაურახუნეს, მე საშინელი კივილი ავსტეხე, სიმონი კი უცებ წამოდგა, რაღაც ქაღალდები შეყარა ციცხლში და კარები გააღო. ჯანდარები რო დავინახე, მიწა გამისქდა, ესაა ჩამოგვარჩობენ-თქვა. სიმონს კი სულაც არ შეშინებია, ისე თამამად დაუწყო ლაპარაკი, როგორც მის ტოლს. ჯანდარიც წყნარად ელაპარაკებოდა, მე ცოტა გული მომიბრუნდა და ასრიალებული ბალნები დავაწყნარე. კიდევ პატარა ხანი და მიც ხმას აუწიე: რა საქმე გაქვთ ჩემს ქმართან, რა გინდათ, ვის რა წაუხდინა, კაცი არ მოუკლავს და ქურდობა ერ უქნია თქვა. კაცი მის ნაშრომს თხოულობს და ამისთვის უნდა აწვალოთ-თქვა?

ჯანდარმა, იმ საზიზღარმა იმან, წყნარად მითხრა: ეს შენი საქმე არაა, შენი ქმარი ერთხელ არ ყოფილა ამისთანა კაი კაცობისთვის დაჭერილიო. მე უურებზე წყალი დამასხა. ეს, რაღა ბევრი გავაგრძელო, დაიჭერეს საწყალი სიმონი და ხამი თვეი აწვალებდენ. იმან რო ციხის ამბები მომიყვა—დედა, დედა, ჩემი მტერი ჩავარდა შიგ, ჩემი მტერი!

ჰო და ახლა, როცა ყველაფერი მუშის ნებაზეა, ის მეზაოდე კიდევ არსებინათ არის, კიდევ არ წაურთმევიათ მუშებს მისთვის ზაოდი. მიკვირს, არ ახსობენ უწინდელი ტანჯვა მუშებს? ჯანდრებს და პოლიციელებს განა იგი არ უჯავნიდა მუშებს? ვისი წყალობით იყო, რომ ჩემს ქმართან ერთად იმდენი სხვა მუშაც იტანჯებოდა ციხეში? მისი დრო, იყო და ეს კაცი კიდეც იხმარდა, იჯდა ბატონივით და ვინც მის წინააღმდეგ ხმას დასძრავდა, მაშინვე ციხეში არგვინებდა თავს.

ახლა, როცა შენი დრო დადგა, არ უნდა ისარგებლო ამით, არ უნდა გადაუხადო სამაგიერო, არ უნდა ახოხო მიწაზე?

ჩემს ქმარს ვუთხარი ასე და იცით რა სთქვა? ასე უცებ არ შეიძლება ყველაფრის გაკეთება, საქმეს ნელ ნელა უნდა მივაყენოთო. ჯერ მთავრობა ჩამოვაგდეთ

დასწრებით. თათბირი შეიმუშავებს მომავალ დამფუძნებელ კრების მოქმედების გეგმას, აგრეთვე, თუ სად მოიწვიონ დამფუძნებელი კრება და სხვა.

◆ **უმუშევართა დღეები.** დღეს არტისტიულ თეატრის დარბაზში გაიმართება არა ჩვეულებრივი სალამო. მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები სახელმწიფო თეატრის, დრამის და „ლადია“ არგონავტიდან.

ხვალ „ლადია არგონავტოვში“ გაიმართება დიდი სალამო, რომელიც გაგრძელდება ღამის 3 საათამდე. ხვალვე სალამოს სახალხო უნივერსიტეტში გაიმართება დისპუტი შემდეგ თემაზე „ხელოვნება და სოციალიზმი“.

ყველაგვარი ფულის შეგროვება უმუშევართა სასარგებლოდ, რომელიც და ნიშნული იყო 7 მარტს, გადაიდო 12 მარტისათვის.

◆ **ვაზიანიდან** გზათა სამინისტროს ატყობინებენ, რომ იორსა და ვაზიანს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია, ვინაიდან 25, 26, 27 და 28 ვერსზე ძლიერი ქარ-ბუქის გამო გზა გაფუჭებულია. გზის გასაწმენდათ მიდებულია ყოველგვარი ზომები.

◆ **დღეს,** სალამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

დღესვე სალამოს 5 საათზე, მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. თფილისის ქალთა კომიტეტის წევრთა კრება.

◆ **ხახალხო ხახლი.** ორშაბათს ხახ. ხახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“, დასაწყისი სალამოს 7 ნახ. საათზე, ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **ეკონომთა გაფიცვის გარშემო.** საქართველოს ეკონომთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობას დღეს ექნება შეერთებული სხდომა თფილისის ეკონომთა პრ. კავშირის გამგეობასთან. იმ საკითხის გადასაწყეტად, თუ რამდენად მიზანშეწონილი და დასაშვებია დღევანდელ მომენტში ქალაქის გადამდებ სენიან საავთომყოფოს ეკონომების გაფიცვა. გამგეობას დაუშვებლად მიაჩნია ყოველგვარი ჯგუფური გამოსვლები ეკონომებისა.

ᲐᲚᲐᲜᲘᲡᲘ

კვირას, 9 მარტს, დილის სრულ 10 საათზე, წ. კ. გ. ს. ბინაზე დანიშნულია ალმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი [illegible].

— ორშაბათს, 10 მარტს, სალამოს 5 ს. შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა სასწრაფო კრება.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲘᲕᲐᲚᲘ.

ᲒᲣᲠᲩᲘᲞᲚᲘᲡ ჩამოსულმა გადმოგვცა, რომ იქ ამ დღეებში ავაზაკებს გაუძარცვავთ შემოქმედის მონასტერი. მძარცველებს წაუღიათ იშვიათი ძვირფასი

ძარს და მერე, როცა კარგად მოვლიანიერდებით, ბურჯუებს ვეძგერებითო. მიკვირს ლმერთმანი, თუ ახლა არა აქვს მუშებს ლონე, ბა სხვისის როდის ექნებათ, აკი ყველას თავზარს სცემს მუშათა საბჭო! ყველგან ასე არაა საქმე, როგორც ჩვენს ქალაქშიაო, მითხრა ქმარმა. მერე და სხვებს უნდა ვუცადოთ ჩვენ? ეგება ისინი ვერასოდეს ვერ მოლონიერდენ და ვერ მოერიენ თავიანთ ბურჯუებს და მე იმათი გულისთვის ბედნიერება უნდა გაუშვა ხელიდან? სხვები რო არ ვარგოდენ რა ჩემი ბრალია? მაგენის გულისთვის ჩემი საქმე უნდა წავიხდინო? დღეს მე მაძლევს ლმერთი და მე შევიძენ ქონებას, ხვალ შენ მოგცემს და შენ აიღე. არ გვეყოფა რაც ვიცადეთ და ვიტანჯეთ? შენ შენი საქმე გააკეთე, მე ჩემსას გავაკეთებ, რაზე გიცადო შენ ან შენ რაზე მოგიცადო?

ჯერაო პოლიციის ბატონობა მოვსპეთო,—სიმონმა მითხრა,—გავა დრო და მერე მდიდრებსაც ჩამოვართმევთ ქონებასო. ახლა კი უნდა დავწყნარდეთ და მეორე რევოლიუციისათვის უნდა ვემზადოთო.

არ ვიცი ლმერთმანი, ეგება ქალი ვარ უგნური და იმიზა ვერ ვგებულობ, იმიზა ვერ შემიგნია ასეთი სიტყვები... თავარა ჩემი მოკლე ტკეცით ვიტყვი, რომ ეგი არაფერს არ ყავს. ადამიანო, რაზე უნდა გავიხადო საორხელოდ საქმე, ის არ ჯობია ერთხელ ქნა ყველაფერი? დღეს ეგაო, ხვალ ისაო, გამ გონია ასეთი გამაზოგება? როცა ძალა გაქვს, მაშინ უნდა ქნა ყველაფერი, რაზე სდებ სახვალიოდ საქმეს? ნათქვამია: „მეხვალეს უწვიმს და უთოესო“, რა იცი რა იქნება ხვალ? ხედავ რომ შენი მოსისხლე მტერი შენს წინაა დაჩოქებული მფარველი არა ყავს, იარაღი არა აქვს და შენ კიდევ რაღაცას ნაზობ და უკან, იხევ; დღეს მარტო ეგო, ხვალე სხვაო, ეგი ლაჩრობა და სხვა არაფერი.

კ. მალაქიაშვილი.

(დასასრული იქნება).

სიმდიდრე, რომელიც განსაკუთრებულ საიდუმლო ადგილას იყო დაკრძალული. აღშფოთებულ ხალხს თავი გამოუდვია და ავაზაკების კვალისათვის მიუგზნიათ, დაუპატიმრებიათ მღვდელ - მონოზონი გიორგი ურუშაძე და ეპილიფთარი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

9 მარტს შრომის სამინისტრო იწვევს თათბირს მომრიგებელ კამერების და შრომის სასამართლოების კანონ პროექტის განსახილველათ, თათბირზე მოწვეულ არიან ხუთ-ხუთი წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირებიდან, საავადმყოფო კასებიდან, 2 ქალაქის კავშირიდან, ერთი ერობათა კავშირიდან და ერთიც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან. ეს კანონ პროექტები სასწრაფოდ უნდა იქნეს განხილული და წარედგინება დამფუძნებელ კრებას. ამავე თათბირმა უნდა განიხილოს პროექტი: დებულება შრომის საბჭოსი.

სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც მიზნათ აქვს ალმოუჩინოს სურსათით დახმარება სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებს, შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს დახმარება. ამ გეგმის თანახმათ საქართველოს ყველა კუთხეებში უნდა მოწყობილ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიური დაწესებულებანი (კოოპერატივები), რომელშიაც ყველა მოსამსახურენი უნდა შევიდენ წევრებათ. ასეთი ეკონომიური დაწესებულებები მიიღებენ უპროცენტო სესხს მთავრობის მიერ გადადებულ 2 მილ. მანეთიდან. კომისიაში შედიან შრომის სამინისტროს და სასურსათო საბჭოს თითო წარმომადგენელნი ალმოსავლეთ და დასავლეთ მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირებიდან და ერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა.

სახელმწიფოს დაბალ მოსამსახურეებმა თხოვნა წარუდგინეს მთავრობას ჯამაგირების მომატების შესახებ, ისინი თხოულობენ პირობების გაუჯობესებას. შრომის სამინისტროს არ მიუჩნია შესაძლებლათ ეს დიდი კითხვა ეხლავე გადაწყდეს საბოლოოთ ვიდრე, არ მოხდება მთავრობის მიერ განზრახული რეორგანიზაცია სახელმწიფო დაწესებულებების, მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია ეს რეორგანიზაცია გაგრძელდეს [illegible] თვეზე მეტს, შრომის სამინისტრო სთხოვს მთავრობას ახლავე მიეცეს დაბალ მოსამსახურეებს ერთდროულ დახმარების სახით ნახევარი თვის ჯამაგირი და აგრეთვე ეთხოვოს მთავრობას,—მოახდინოს განკარგულება, რომ მთავრობის სასურსათო დაწესებულებებმა, როგორიც არის მომარაგების კომიტეტი, სასურსათო საბჭო, საინტენდანტო, დახმარება ალმოუჩინონ თფილისის მოსამსახურეთა ეკონომიურ დაწესებულებას, რომლის წევრებთაც არიან ალნიშნული მოსამსახურეები.

მთავრობის დადგენილების თანახმად შრომის სამინისტროს გადაეცა ყოფილ კავკასიის დამზღვევ ამხანაგობის ფუნქციები, შრომის სამინისტრო დაუყონებლივ უნდა შეუდგეს საწვრო ფულების მოგროვებას, დასახჩრებულ-დაშავებულ მუშათა დაკმაყოფილებას პენსიებით. საზოგადოების წევრთა ვალი სამი ათას მანეთს ალემატება. დაზღვეულთ არ მიუღიათ პენსია უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში.

შრომის სამინისტომ დაუგზავნა სახელმწიფო დაწესებულებებს და ნწარ მოგზავნეს ცირკულიარი, რომლითაც აცნობს მათ თუ რა წესით უნდა ხდებოდეს დათხოვნილ მუშა მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ფულის მიცემა. დაწესებულებში მოსამსახურეებს სალიკვიდაციო ფული მიეცემათ თანახმად 14 იანვრის დეკრეტის ესე იგი, თანახმად მომრიგებელ კამერის მიერ გამომუშავებულ ნორმისა, ამ ცირკულიარის თანახმად უნდა გაეწყოროონ ანგარიში ყველა მთავრობის დაწესებულებებმა იმ სომხებს, რომლებიც საქართველო სომხეთთან გამოწვეულ ომის მიზეზების გამო დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜ. ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

კავკასიის ხაოლქო აღმასრულებელ კომიტეტში.

დაესწრნენ: თფილისიდან — ბადრიძე, ხელაძე, სადირაზეული, კავკასიძე; ბაქოდან—ფორერი, ამარგონიკი და ბრავო.

თავმჯდომარეობდა **ხელაძე,** მდივნად სხდა **კავკასიძე.**

ხელაძე ხსნის რა სხდომას, აღნიშნავს, რომ აღმასრულებელ კომიტეტს აქვს ორი აშკარად გამოარკვეული აზრი პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივ ორგანიზაციებისა: ესაა აზრი ბაქოს და თფილისის პროფესიონალურ კავშირთა სამეკრებისა. გადაწყვეტილება, როგორც ერთის, ისე მეორესი, ჩვენთვის არ არის სავალდებულო და ჩვენ დღეს უნდა ვსთქვათ ჩვენი სიტყვა კონფერენციის შესახებ და იმაზე, თუ სად უნდა შესდგეს ის.

ბადრიძე საჭიროდ სთვლის, რომ კონფერენცია მოწვეულ იქნეს თფილისში, რადგანაც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების პირობები ხელს უშუყობენ, რომ კონფერენციამ მშვიდობიანად აწარმოვოს თავის მუშაობა.

ხალირაშვილი აღნიშნავს რა რესპუბლიკის პოლიტიკურ პირობებს, კონფერენციისთვის მოსახერხებელ ადგილად სთვლის თფილისს, მით უმეტეს, რომ კონფერენცია იქნება ამიერ კავკასიის მაშტაბში.

ფორერი წინადადებას იძლევა ყრილობა მოწვეულ იქნას ბაქოში, რადგანაც ბაქო ითვლება მუშათა ცენტრად, მით უმეტეს, რომ დადგენილება პირველი კონფერენციისა იყო ბაქოს სასარგებლოდ.

ხელაძე ეუყარება რა შრომის სამინისტროს წარმომადგენლის გოლდმანის სიტყვას ბაქოსი საერთო მდგომარეობის შესახებ, ამბობს, რომ საერთო განწყობილება ბაქოს ისეთია, რომ კონფერენცია იქ ვერ იმუშავებს ნაყოფიერად. ამის გარდა საქართველოს პროფესიონალური საბჭოები იმყოფებიან ფინანსიურად ცუდ მდგომარეობაში და ვერ შესძლებენ წავიდნენ ბაქოში და თუ ბაქოში ვერ იქნებიან საქართველოს კავშირების წარმომადგენლები, კონფერენციაზე წარდგენილ იქნება სამი მეოთხედი ბალშევიკური ელემენტებისა. ჩვენ დავრჩებით უმცირესობაში, რაც გამოიწვევს ჩვენი ფრაქციის დამარცხებას კონფერენციაზე და ამ გარემოებას ბალშევიკები გამოიყენებენ ჩვენ საწინააღმდეგოდ.

ბრავო სთვლის რა, რომ ბაქოში მასა გაურკვეველია, მაინც ჰფიქრობს, რომ კონფერენციის დელეგატებთან ალრჩევენ მეზშევიკებს, რადგანაც ისინი არიან ხელმძღვანელნი პროფესიონალური ორგანიზაციებისა.

ფორერი: იმის დასამტკიცებლად, რომ პროფესიონალური კავშირები ბაქოში იმყოფებიან ჩვენი გავლენის ქვეშ არის ის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭომ უარი სთქვა მიეღო პროფ. კავშირების დელეგატები. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ჩვენ პროფ. კავშირებში ვაწარმოებდით ჩვენ პოლიტიკას და მასსა იყო მენშევიკური. ჩვენ შეგვიძლიან კონფერენციაზე გავიყვანოთ სამი მეოთხედი მენშევიკები.

ხელაძე გამოსთქვამს ეშვს ფორერის ნალაპარაკევში და მიუთითებს საქართველოს კომიტეტებზე, რომლებთაც გაჰყავდათ თითქმის ყველა ბალშევიკები და საქართველო კომიტეტები შეადგენენ მუშათა დეპუტატების საბჭოს. ის დაპირება, რომ კონფერ. ,|, არა ბალშევიკები იქნება—მხოლოდ სიტყვიერია. არამც თუ ბაქოს, თფილისსაც გაუჭირდება ამდენი რიცხვის არაბალშევიკთა მოცემა. თუ კონფერენციას თფილისში მოვიწვევთ, მაშინ წარმომადგენლების უმრავლესობა იქნება წვრილი კავშირებისაგან და მაშინ ჩვენ შეადგენთ უმრავლესობას. რაც შეეხება ცენტრს, ამას ჩვენ გავიყვანთ ბაქოდ ნ.

ფორერი. მე ვუყურებ პროფესიონალურ კავშირებს, როგორც გავლენიან ერთეულებს, რომლებიც ემსახურებიან კლასიურ ტენდენციების გადავიებას და პროფ. ინტერესებს ვერ შეეშვრავ პარტიის ინტერესებს. ბალშევიკების შეში და გარს შემორტყმა ს.-დ.-ით არ ვარგა, რადგანაც ჩვენ ვიწვევთ პროფესიონალურ კავშირების კონფერენციას, არც მეტი, არც ნაკლები. საქართველოს პროლეტარიატი იმყოფება განსაზღვრულ ატმოსფერაში და ვერავინ გაუხსნის თვალებს. მისთვის უკეთესია, თუ კონფერენცია იქნება საქართველოს გარეგ, ყველაზე ნეიტრალური ადგილი კი ბაქოა.

ბადრიძე ამბობს, რომ როგორც პირველ კონფერენციაზე, ისე ეხლაც არავითარი ზეგავლენა არ იქნება. თფილისი გეოგრაფიულად ცენტრალური ადგილია და უფრო მოსახერხებელია, რადგანაც ეკვირვეული, კონფერენციას აქ მოწვევა. თუ ჩვენ ვერ მოვგროვდებით, საჭირო იქნება საბჭოს მოწვევა.

ბრავო. საქართნო კომიტეტები გაჰყავნენ საბჭოს ძალა-უფლებას, მაგრამ პროფ. კავშირები არ გაპყოლიან. არჩევნებში ბალშევიკური განწყობილება ჰპოვებს თავის გამოხატულებას, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. გეოგრაფიულ მდგომარეობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. თქვენ ერთმევთ ბაქოელებს კონფერენციის მოწვევის ინიციატივას და უნდა დაუთმოთ ყრილობის ადგილიც. უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება კონფერენციას, როცა მთელი პროლეტარიატის ხმა გაისმის რეაქციონურ ადერბეიჯანში.

სმარგონსკი. ყრილობა უნდა იყოს იმის გამომხატველი, რაც ნამდვილათ არის. გეოგრაფიულ ცენტრს მნიშვნელობა აქვს და ბაქო კი ისეთია, ვინაიდან კონფერენციაზე მოვლენ დერბენტიდან, გროზნოდან, პეტროგრადიდან და სხვა ადგილებიდან. ბაქოში რუსები ალმაცერად უყურებენ ქართველებს და ალბათ კონფერენციაზე შეეცდებიან გაგებათილოთ ეს შთაბეჭდილება.

კავკასიძე მიუთითებს, რომ სოც. დემ. არ შეუძლია ჩასთვალოს პროფესიონალური კავშირების თვით მიზნად, ისინი მხოლოდ საშუალებაა თავისი პოლიტიკო ეკონომიური შეხედულებების გასატარებლად და პარტიის ინტერესებს უნდა შეეწიროს პროფესიონალური კავშირების ინტერესები, თუ ეს საჭირო იქნება. მაგრამ აქ ამას არავინ ეხოულობს, აქ მხოლოდ გამოინგარიშებაა, თუ კონფერენცია ბაქოში იქნა, საქართველოდან კონფერენციაზე ბაქოში ვერ შეძლებენ წამოსვლას და ძალთა განწყობილება შეიცვლება ბალშევიკების სასარგებლოთ, წინადადება შემთხვევაში კი ჩვენ შეგვძლებთ კონფერენციაზე წამოვაყენოთ ყველა წარმომადგენლები და უმრავლესობა ჩვენი იქნება. შეგვძლებელია იყოს, თითქოს ფაბრიკის კომიტეტები ბალშევიკები იყვენ და პროფესიონალური კავშირები-მენშევიკები, ფაბრიკის კომიტეტები და პროფესიონალური კავშირები ხომ ერთი და იგივე ხალხისაგან ირჩევენ? ბაქოს ადგილობრივი კონფერენციიდან ვგებდეთ, რომ ხალხი შეკავშირებული არ არის და ზაზა სადამე ისინი ადგილად მოაყენებენ ბალშევიკების გაფლენას და კონფერენციაზედაც უმრავლესობას შეიდგენენ.

ხელაძე პროფესიონალური კავშირები საშუალებაა ხალხის შეკავშირებლად. ჩრდილოეთ კავკასია ვერ შესძლებს გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები, და თუ საქართველოს წარმომადგენლებიც არ იქნებიან ბაქოში, კონფერენცია ბალშევიკების ყრილობად იქნება, ბალშევიკების ყრილობას კი ჩვენ ვერ დავესწრებით, ბაქოში პროლეტარიატი არ არის შეკავშირებული, ჩვენში კი საქართველოში არის, მაგრკინის გზის მოსამსახურენი 13 ათასი, გვარდია და სხვა მენშევიკების ლროშის ქვეშ მიდიან. თქვენი განცხადება, ეფუნენ ბალშევიკები უმრავლესობაო, ეს სპეციფიური ხასია ბაქოელ ამხანაგებისა, რომლებიც ყველა კითხვებს ბალშევიკური თვალსაზრისით არჩევენ.

სმარგონსკი არ ეთანხმება ფორერს პროფესიონალურ კავშირების დამოკიდებულობაში. ყრილობა უნდა იყოს პროფესიონალური კავშირების გამოხატულება. ბაქოს პროლეტარიატი ეკონომიურ კითხვებში ბალშევიკურია, პოლიტიკურ კითხვებში კი—მენშევიკებზე მეძარჯვენეა.

ბადრიძე მიუთითებს, რომ გაწყვეტილი დამოკიდებულება შეიცვლება მაშინ, როცა ბაქოელები მოვლენ აქ და დაინახავენ ჩვენს სიმართლეს.

ფორერი. წინადადებას იძლევა კამათი შესწყდეს, ვინაიდან ისინი დათმობის გზას არ დაადგებიან და შეთანხმება ვერ მოხერხდება. შეტანილ იქნა სამი წინადადება: **ხალირაშვილის** წინადადება, რომ მოწვეულ იქნას პროფესიონალური კავშირების საოლქო საბჭო, ბაქოულ ამხანაგების დაჟინებით მოხსნილ იქნა მეორე წინადადება **ფორერის**—რომ ბაქოში გაგზავნილ იქნას ადმასრულებელი კომიტეტიდან დელეგატები, რომ თფილისში იქნეს მოწვეული კონფერენცია და ამავე დელეგაციას მიეცეს უფლება—თუ ბაქოელი ამხანაგები დაჟინებით მოითხოვენ დასთანხმდენ ბაქოში იქნას კონფერენცია მოწვეული, უარყოფილი იქნა,

მესამე, **ბადრიძის** წინადადება—მოწვეულ იქნას კონფერენცია თფილისში მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით.

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

უკვე იწყება საჭირნახულო წელიწადი და ჯერჯერობით არცერთ სამაზრო ერობას ვერ მოუწესრიგებია აგრონომების შტატი. თითეული წუთი ახლა საშუალია, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოიწყოს აგრონომიული დახმარების საქმე, ავათ იყო თუ კარგად აგრონომიული დახმარებას ხალხი ძველი შეაგრობიდან დაჩვეული იყო, ერობამ კი პირიქით დაჩვეულ უნდა მოუმატოს. ხალხს არა აქვს ბოსტნეულისა და ბრეშუმის ჭიის თესლი. სომხების მთავრობამ ბოსტნეულის თესლის შესაძენად 200,000 მანეთი ბეთ მისცა სამეურნეო საზოგადოებას. იქაური მთავრობა ამასაც ჯერდება და ინგლისის სარდლებსა და ამერიკის მისიას ედრეშება ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში თესლეულობა თქვენი სახელით შეიძინეთ და ჩვენ მოგვყიდეთო. (იხ. „Кавк. Слово“ № 33, 34 და 35).

აგრონომიული დახმარება ყოველთვის დიდი საჭირო იყო, მაგრამ ამ სიძვირისა და ჭირიანობის დროს ყველაზე მეტად არის საჭირო. საჭიროა ხალხმა იცოდეს ბოსტნეულის მნიშვნელობა. ხალხმა არ იცის რომ მას დიდი სამსახურს გაუწევს ბოსტანი.. ძველი ქალები მშვენიერ და გაძლე ტილოს ქსოვდენ სელიდან, (ლერწამი), იმავე სელიდან ამზადებდენ ძვირფასა და მაგარ ძაფს, შინ ბოყავდათ სათოკე კანაფი.. ლეს ყველა ამას გადაჩვეულნი ვართ, მაგრამ საერთო გაჭირვება გვაიძულებს მივმართოთ ასეთ საშუალებას. ერობებმა ახლავე უნდა დაადგინონ, რომ ყველას სასტიკათ აეკრძალოს სიმინდიდან არაყის გამოხდა. ვინც მაინც გამოხდის ყველა სამაგალითოდ დაისჯოს.

ალ. წულაძე.

ᲛᲘᲮᲝ Ქ. ᲓᲐᲒᲘᲝᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲚᲝᲕᲜᲐᲡ

თებერვლის 27, 1919 წელს ქ. სიღნაღში უდროოთ და მოულოდნელათ გარდაიცვალა სიღნაღის მაზრის საქართველოს სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის წევრი, ქ. სიღნაღის ხმოსანი და მუშათა საბჭოს წევრი, ამხანაგი მიხო სვიმონის ძე ქადაგიშვილი.

ამ რევოლიუციის ხანაში სიღნაღის მაზრის ორგანიზაციას არ დაუკარგავს არც ერთი ამხანაგი. მაგრამ ის დანაკლისი, რომელიც ორგანიზაციამ განიცადა მიხო ქადაგიშვილის სიკვდილით, იმდენათ დიდია და აუნანლაურებელი, რომ ყველა ამხანაგებს ლახვარი ჩასცა გულში. მიხო ჩვენ პარტიაში მუშაობდა 1904 წლიდან. როგორც რეაქციის ხანებში, ისე რევოლიუციის დროს, ის იყო დაუღალავი პარტიული მუშაკი. როდესაც ბოლო ხანებში პოლიტიკურმა და ეკონომიურმა კრიზისმა ბევრი ამხანაგების მორალური სიმტკიცე შეარყია, დასცა მათში პარტიული დისციპლინა, აი ამ დროსაც მიხო ქადაგიშვილი წარმოდგენდა იდეალს პარტიულ წევრისას. საკმარისი იყო მისთვის ეთქვათ—ორგანიზაციამ ესა და ეს დადგა, რომ იმას მაშინვე ლიმილით ეპასუხა—„დიდი სიამოვნებით“. უკანასკნელათაც ქ. სიღნაღის საქმეებზე იყო ის გგზავნილი, გაცივდა და კიდეც წაგვივიდა ხელიდან. მთელი სიღნაღის მაზრა და მისი ამხანაგები იცნობდნენ მიხოს, როგორც სპეტაკ, წმინდა, უმწიკლო და უანგარო პირიროვნებას.

აი ესეთი მუშაკი, ჯერ კიდევ ენერგიათ სავსე, დაჰკარგა სიღნაღის მაზრის სოც. დემოკ. მუშათა პარტიის ორგანიზაციამ მიხო ქადაგიშვილის სახით.

მშვიდობით ამხანაგო!

შენი სახელი უკვდავი იქნება ყველა შენს ამხანაგებში.

მიშა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪ. ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი 4 მარტს შესდგა საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 12 წევრი. დღის წესრიგში იყო კითხვები: 3 რეფერატი ნაის განცხადება ხართიშვილის და ბალშევიკის მთავარ სახელმწიფოებში მოწვევის შესახებ; გიორგი ბასთიანის თხოვნა; საზოგადო ომი გერმანიაში და მისი პერსპექტივები; მოხსენება დამფუძნებელი კრების შესახებ.

კრების განმავლობაში მდივანი აცხადებს, რომ კომიტეტის წევრები: ბედენაშვილი, ვაშაკიძე, კაპანაძე და ფარნა ნინუა საჭირო და ზოგი მათგანი მეჯერაც კრებებს არ ეწვრებიან, თანახმად კომიტეტის მიერ მიღებულ რეგლამენტისა—ისინი გამორიცხულ იქნენ კ—ტის წევრობიდან და ეცადეთ მათ რაიონებს სამაგიერო გამოგზავნონ.

თანახმად ტკიბის გზის მთავარ სახელოსნოს მეორე კოლექტივის დადგენილებისა თფილისს კ—ში დაადგინა ამხ. ხართიშვილი და ნ. ბოლქვაძე გამოწვეულ იქნენ სასოფლო კომისიიდან და დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ სამსახურს სახელოსნოებში, სადაც იმათი ყოფნა აქ შექმნილ პირობებს გამო დიდათ საჭიროა.

16 თებერვლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდარ ვერაგულ მკვლელობის გამო სიტყვას ალებს ამხ. ჩიხლაძე. ასეთ კითხვას, ამბობს ის, კ—ში უნდა თავისი გავლენიანი ყურადღება მიაქციოს, შინ საჯაროდ ხმა უნდა ამოიღოს ასეთ მდაბალ და ადამიანის ღირებულების შეუფერებელ მკვლელობაზე. მკვლელობა საარჩევნო ყუთთან, საზოგადოებრივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ორგანიზაციის მიერ დანიშნულ პირისა მის მოვალეობის ასრულების დროს და დამნაშავის თავისუფლად გაშვება, თუ გინდ მსჯავრის დადებამდე—ეს ჩვენი ცხოვრების ისეთი უკულმართი მხარეა, რომ შეუძლებელია ჩვენი სინიდისი დამშვიდდეს მანამდე, სანამ ასეთ უმგავსო და ველურ დანაშაულობის ჩამდენთ ჩვენი მართლ-მსაჯულობა ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს.

სალიქვაძის აზრით, ამ საკითხს ფართო საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და ყველაზე უწინ ასეთს მოვლენებს თფილისის კ-მა უნდა მიაქციოს ყურადღება. ის დარაჯათ უნდა ჩაუდგეს საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ყოველ გვარ ბოროტ-განზრახვას და საჯაროთ მოითხოვს, რომ ავადმყოფების და მკვლელების თარეშს ბოლო მოეღოს. საკვირველია აგრეთვე, რომ ჩვენმა პრესამ ხმა ამოიღოს ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„კომიტეტი თავის ღრმა ღაშფოთებას გამოსთქვამს იმ საზიზღარ მკვლელობის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო უნივერსიტეტში 16 თებერვალს დამფუძნებელი კრების არჩევნების წარმოების დროს და რომლის მსხვერპლიც შეიქნა კ-ტის მიერ საარჩევნო ადგილთან წარმომადგენელთა გვამი ზაფხულის ბოლოს მოკლეული ამხ. შ. ასათიანი. კ-ტი მიაქცევს ვისგანაც ჯერ არს მათ ყურადღებას, რომ დანაშაგემ პასუხი აგოს სამსჯავროს წინაშე რესპუბლიკის კანონების სრული დაცვით“.

თავის მხრივ კ-ტი აყალებს ამხ. პეტრე ქავთარაძეს, რომ მან მიიღოს სწრაფი ზომები გამოძიების სასურველ ნიადაგზე დაყენების შესახებ და საზოგადოთ აწარმოვოს მთელი ეს პროცესი სამსჯავროს წინაშე.

სამოქალაქო ომი გერმანიაში და მისი პერსპექტივები. ვინაიდან კ-მა სცნო, რომ ეს საკითხი მეტათ სერიოზულია და ბევრ დროს მოითხოვს, დაადგინა კვირას საღამოს 5 საათზე მხოლოდ ამ კითხვისათვის მოწვეულ იქნას საგანგებო სხდომა თფილისის კ-ტისა.

მუშათა შორის

**თფილისის ფოსტალიონების ცხოვრებიდან. 1917 წელს, როდესაც ირ. წერეთელი იყო მთელი რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრათ, მან ივნისში ფ.-ტ. მოსამსახურეებს, სხვათა შორის, მიმართა შემდეგი ცირკულიარით: „დაშლა ფ.-ტ. საქმისა არამც თუ მცირდება, არამედ იზრდება. მაისში მაგალითად, შედარებით აპრილთან და მარტთან, უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო საქმე. სამინისტრო იტვირთება კერძო პირების, დაწესებულებების და ჯარის სამართლიანი საჩივრებით ფოსტა-ტელეგრაფის არა მუყაით მუშაობის შესახებ. სხვათა შორის, ფოსტა-ტელეგრაფის საქმე რევოლიუციამდე იმყოფებოდა უკეთეს მდგომარეობაშიო“ და სხვ... ეი სწორეთ ამ ხანიდან იწყება მკვიდრი მუშაობა ჩვენშიაც. ამიტომაც არის, რომ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს არა ერთხელ გამოუცია ბრძანება ფოსტალიონების მიმართ, რომ მათ თავიანთი მოვალეობა აესრულებინათ პირნათლად და მოსული კორესპონდენცია ჩაებარებინათ პატრონებისათვის თავის დროზე.

მე მინდა გავაცნო მკითხველ საზოგადოებას, თუ როგორ პირობებში უხდებათ ფოსტალიონებს წერილების დატარება. რა არის მიზეზი, რომ უფროსებისაგან და საზოგადოებისაგან არის საყვედური წერილების დამტარებლებზე? რევოლიუციის დაწყებამდე თფილისის ფოსტის კანტორაში მსახურობდენ წერილების დამტარებლები ძლიერ დახელოვნებულნი, რომლებმაც თავიანთი რაიონები იცოდნენ, როგორც სუთი თითი. ძველი ადმინისტრაცია მათ ხელი არ ახლებდა და თითეულ ფოსტალიონს უხდებოდა მუშაობა ერთსა და იმავე ალაგის ათი და ოცი წლობით. იმიტომაც იყო, რომ ფოსტალიონი თავის კორესპონდენტებს იცნობდა ძალიან დახლოვებით და მოსულ წერილებს, რაც უნდა გადამახანჯებული მისამართით ყოფილიყო, მაინც ჩაბარებდა პატრონს. რევოლიუციის ხანაში ფოსტა-ტელეგრაფის ადმინისტრაციამ ძველი წერილების დამტარებლებს, რომლებიც მსახურობდენ ათ წელზე მეტს, გადიყვანა მოხელეებად. აი სწორეთ მას შემდეგ იწყება ის აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც ეხლაც განიცდის თფილისის ფოსტის კანტორა და მისი მმართველნი. ძველი გამოცდილი ფოსტალიონების ალაგები დაიკავეს თოთხმეტმა ქალმა, რომლებიც პირნათლად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას და საზოგადოებაც მათი მადლობელი იყო, მაგრამ შტატის შემცირების და ნაციონალიზაციის გამო ქალებიც და ყველა სხვა ეროვნების ხალხიც ჩამოშორდნენ თავიანთ ალაგებს. მათ მაგივრათ პროვინციებიდან ჩამოიყვანეს სულ ახალგაზდა ფოსტალიონები, რომელნაც მიანდვეს წერილების ჩაბარება უცნობ თფილისის მცხოვრებთათვის. ამ დროიდან წერილების ჩაბარება ძალზე ფერხდება, რის გამო საზოგადოებაც და ფ.-ტ. ოლქის უფროსიც უკმაყოფილონი არიან ამნაირი მუშაობით. რევოლიუციამდე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ წერილების მიუწვდენლობის გამო განაპირა უბნები. რასაკვირველია, მაშინდელი ადმინისტრაცია არ იყო განაპირა უბნების მცხოვრებლების დასაკმაყოფილებლათ აღფურვილი. იგი სცდილობდა ცენტრის და სოლოლაკის პროლეტარიატის დაკმაყოფილებას, რისთვისაც ზაფხულობით იქაურ ფოსტალიონებს ორჯელ ერეკებოდა წერილების დასარიგებლათ და ერთს წუთსაც არ აცდიდა მათ დასვენებას. ამ დროს ნაძალადევის, დიღუბის და სხვა განაპირა უბნების წერილები კი ხშირათ დაურიგებელი რჩებოდა. ამნაირი შეხედულობა თფილისის ფ. კანტორაში ახლაც კი არსებობს. არ მახსოვს, რომ ნაძალადევში და სხვა განაპირა უბნებში დანიშნულიყოს მხნე ფოსტალიონები, რომ მათ დანიშნულ დროზე ჩაებარებინათ კორესპონდენცია. ნაძალადევის და აგრეთვე სხვა განაპირა უბნების კორესპონდენცია ხშირათ ტიბრებით ეყარა მთელი კვირეობით ეტლარეებში, ოდესაც ეტლარეებს ეკრძალებოდა ფოსტალიონებისაგან,